სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

29 ივლისი 2026

N 515/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქალაქ ბათუმში შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდი“-ს სასარგებლო წიაღისეულის (ბალასტი) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდი“-ს მიერ, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს (შემდგომ – კოდექსი) შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომ – გზშ) ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ – სააგენტო) წარმოდგენილი იქნა კოდექსის II დანართის 5.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის (სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება) სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმო მდებარეობს ქალაქ ბათუმში, ყოფილი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ტერიტორიაზე (ს/კ: 05.30.18.99; ფართობი: დაახლოებით 34 944 მ^2), რომლითაც შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდი“ იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე სარგებლობს. საწარმოს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 05.30.18.100; 05.30.18.001; 05.30.18.021; 05.30.18.022; 05.30.18.023; 05.30.18.037; 05.30.18.075; 05.30.18.076) განთავსებულია კომპანიის კუთვნილი ბეტონის საწარმო.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით, უახლოესი საცხოვრებელი სახლი საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან სამხრეთის მიმართულებით დაახლოებით 140 მეტრში (საწარმოო დანადგარების განთავსების უბნიდან დაახლოებით 160 მეტრი) არის განთავსებული. საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტებია შავი ზღვა და მდინარე ყოროლისწყალი. შავი ზღვა საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 735 მეტრით არის დაშორებული, ხოლო მდინარე ყოროლისწყალი – დაახლოებით 825 მეტრით.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ბალასტის გადამამუშავებელ საწარმოში დამონტაჟებული ტექნოლოგიური ხაზი აგებულია სამეტაპიანი დაქუცმაცების, დახარისხების და ტრანსპორტირების კლასიკურ ტექნოლოგიურ პრინციპზე და სრულად შეესაბამება თანამედროვე, საუკეთესო ხელმისაწვდომ ტექნიკას (BAT). აღნიშნული ტექნოლოგიური ხაზის შემადგენელი სამსხვრევები და დამხარისხებელები სრულად შეფუთულია პოლიურეთანის ქაფის შემცველი პანელებით, ტრანსპორტიორები დახურული ტიპსაა, ხოლო პროდუქციის გადმოყრის წერტილები ეფექტიანი მტვრის ჩახშობის სისტემით (ე.წ. წყლის „სპრინკლერები“) არის აღჭურვილი. ტექნოლოგიური ხაზის საპროექტო წარმადობაა საათში 125 მ^3 (250 ტ), ხოლო ფაქტობრივი წარმადობა – საათში 100 მ^3 (200 ტ). ტექნოლოგიური ხაზი წელიწადში 250 დღე, დღეში 4 საათი იმუშავებს და ფაქტობრივი წარმადობისა და სამუშაო რეჟიმის გათვალისწინებით, წელიწადში 100 000 მ^3 (200 000 ტ) სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებას უზრუნველყოფს. ტექნოლოგიურ პროცესში განხორციელდება სასარგებლო წიაღისეულის მშრალი მეთოდით პირველადი, მეორადი და მესამეული მსხვრევა-დახარისხება. სასარგებლო წიაღისეული ტექნოლოგიურ ხაზს დამტვირთველით ან/და

თვითმცლელით, პირდაპირი ჩატვირთვის გზით მიეწოდება, ხოლო მზა პროდუქციის გატანა ტრანსპორტიორებით განხორციელდება.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდი“-ს საწარმო ქალაქ ბათუმში, ოდისეი დიმიტრიადის ქუჩის და რკინიგზის სადგურის მიმდებარე საზღვაო აკვატორიაში ხელოვნური კუნძულის სამშენებლო სამუშაოებს მოემსახურება. საწარმოში დასაქმებული იქნება 12 ადამიანი. საწარმოო დანიშნულებით საჭირო წყალაღება, შესაბამისი ლიცენზიის საფუძველზე, ჭაბურღილიდან განხორციელდება. წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები სეპტიკურ ავზში დაგროვდება, რომელიც კონტრაქტორი კომპანიის მიერ განიტვირთება.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საწარმოების ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილი ექნება არაორგანული მტვრის (ინერტული მასალის SiO_2<20 % და ცემენტის 70-20% SiO_2 ფრაქციები) წარმოქმნას და ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევას. დოკუმენტში წარმოდგენილია საწარმოების ფუნქციონირების პროცესში ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, იდენტიფიცირებულია არაორგანული მტვრის გამოყოფის და გაფრქვევის წყაროები, ასევე აღნიშნული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული არაორგანული მტვრის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები. გაბნევის მოდელირება შესრულებულია მკაცრი პირობებისთვის. კერძოდ, ანგარიშისას გამოყენებული იქნა საკურორტო ზონისთვის კანონმდებლობით განსაზღვრული შესწორების კოეფიციენტი - 0,8. მიღებული შედეგებით, საპროექტო საწარმოების ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული არაორგანული მტვრის კონცენტრაცია, როგორც უახლოეს მოსახლესთან, ისე 500-მეტრიან ნორმირებულ საზღვარზე, კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულად დასაშვებ ნორმებს არ აჭარბებს.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმოების ფუნქციონირების ეტაპზე ხმაურის წარმოქმნისა და გავრცელების ძირითადი წყარო იქნება ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარ-მექანიზმები, რომელთა ხმაურის ჯამური დონე 103,8 დბA-ს შეადგენს. ვინაიდან საწარმოში ადგილი ექნება დახურული ლენტური ტრანსპორტიორების ფუნქციონირებას, ხოლო სამსხვრევი ხაზის სამივე სამსხვრევი დანადგარი და დამხარისხებელი საცერების უბნები სრულად შეფუთულია პოლიურეთანის ქაფის შემცველი პანელებით, აღნიშნული ხმაურის დონეს არსებითად ამცირებს. კერძოდ, ლიტერატურულ მონაცემებზე დაყრდნობით, პოლიურეთანის ქაფის შემცველ პანელებში ხმაურის წყაროების ინკაპსულირების შედეგად, ხმაურის დონე 15-20 დბA-ით მცირდება. მითითებული დიაპაზონიდან, უარესი სცენარის დასაფიქსირებლად, გამოყენებულ იქნა უმცირესი მნიშვნელობა (15 დბA). შესაბამისად, ხმაურის გავრცელების გაანგარიშებისას (ფორმულით კალკულაცია და პროგრამული მოდელირება) მოსალოდნელი ხმაურის დონედ აღებული იქნა 88,8 დბA. ამასთან, მხედველობაში არ იქნა მიღებული ხმაურის წარმომქმნელი წყაროების ერთმანეთთან დაშორება და დაშვებული იქნა, რომ ხმაურის ყველა წყარო კონცენტრირებულია ერთ ტერიტორიაზე, ასევე არ იქნა გათვალისწინებული ბუნებრივი გარემო ფაქტორები. დოკუმენტში წარმოდგენილია საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ხმაურის გავრცელების გაანგარიშება და პროგრამული მოდელირება, რომლებიც ყველაზე უარესი სცენარით არის შესრულებული. მიღებული შედეგებით, უახლოეს საცხოვრებელ შენობა-ნაგებობასთან (160 მეტრი) კანონმდებლობით დადგენილი ზღვრულად დასაშვები ხმაურის ნორმების გადაჭარბება მოსალოდნელი არ არის. ამასთან, აღსანიშნავია რომ, საწარმოების ტერიტორიაზე განხორციელებული გაზომვებით დასტურდება, რომ ხმაურის დონეების რეალური მაჩვენებლები ანგარიშით მიღებულ მონაცემებზე ნაკლებია.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმოში სამუშაოების სპეციფიკის გათვალისწინებით ადგილი ექნება არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნას, რომელთა მართვა, ნარჩენების მართვის კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელდება.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, საპროექტო საწარმოს ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გავრცელებული არ არის მაღალი საკონსერვაციო ღირებულების და/ან

საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული ფლორისა და ფაუნის სახეობები. საპროექტო საწარმოდან 500-მეტრიან რადიუსში ანალოგიური პროფილის მქონე ობიექტები არ ფიქსირდება.

კოდექსის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში, საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. სკრინინგის განცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან სკრინინგის განცხადებით გათვალისწინებულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში წარმოდგენილი არ ყოფილა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაგეგმილი საქმიანობის კოდექსით განსაზღვრული კრიტერიუმებით შეფასების მიხედვით, კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და II დანართის 5.1 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქალაქ ბათუმში შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდი“-ს სასარგებლო წიაღისეულის (ბალასტი) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაცია **არ დაექვემდებაროს გზშ-ს**.

2. შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდი“ ვალდებულია კოდექსის მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა.

3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდი“-ს.

4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდი“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.

5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/515-21-4-202607291225

ელექტრონული ხელმოწერა/QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE